საქართ. მუშარ. ცენტ. სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—85.

ფასი 5000 მან.

№ 175

პარასკევი, მარტის 24 1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მუშარ. ცენტ. სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

შაბათს, 25 მარტს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში

## შესდგება ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა.

ვინაიდან გასარჩევია ფრიად საჭირო და გადაუდებელი საკითხები, ამისათვის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

## ზაქარია ჭიჭინაძის იუბილეი

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ

ზ. ჭიჭინაძის იუბილეის დღედ დანიშნა

აპრილის 23-ს

(ახალი კვირა.)

იუბილეი გადახდილ იქნება სახელმწიფო საოპერო თეატრში, სადაც იმავე დღეს გაიმართება ქართული წიგნის გამოფენა.

მწერალთა კავშირის საბჭოს საიუბილეო მცირე კომისიაში გაწვეულნი არიან: ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, ი. ზარდალიშვილი.

## ჩვენი მოვალეობა

ქართველ დამშეულთა დასახმარებლად შემოწირულების შეკრება გრძელდება და ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს ამ მიზნით შეგროვება მოხდება ვაჭარ-მრეწველთა წრეებში.

ქართველი ხალხი მეტად დიდ უბედურების წინაშე სდგას; სიმშილობა განადგურებით გვემუქრება და საშინელი უბედურების წინაშე ვდგებით.

ოფიციალური ცნობებით, დამშეულია დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი; უკვე სიმშილობა მეფობს შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრებში, გურიის ნაწილი, აღმოსავლეთი მხარეც ასეთს ყოფას განიცდის; სხვა მაზრებიც სიმშილის მოლოდინში არიან დასავლეთ საქართველოში. სამეგრელოს მაზრები, სამურზაყანო და ზუგდიდის ზემოთი რამდენიმედ უზრუნველყოფილნი არიან სიმშილისაგან, ეს რაიონები, ასე თუ ისე, ასრულებენ სხვა მაზრების „გამოკვების როლს“, მაგრამ არის კი ამ მხარეებში იმდენი სურსათ-სანოვაგე, რომ თავიანთი მდგომარეობაც და სხვა რაიონების გამოკვებაც შესძლონ? ოფიციალური ცნობები და ჩვენი წარსული გამოცდილება გვეუბნება, რომ ზემოთ დასახელებული მაზრები ამას ვერ შესძლებენ და დასავლეთ საქართველო გამოუვალ მდგომარეობის წინაშე სდგას. იქ ერთ მხრიდან მეორეში სურსათის განაწილება ვერ მოხდება შესაფერისად იმიტომ, რომ არსებული მოსავალი არ ყოფნის დასავლეთ საქართველოს. იგი თავისი ძალღონით, თავისი რესურსებით ვერ გამოიკვებს თავს, ეს შეუძლებელი იყო უფრო ნორმალურს პირობებში, დღეს კი, როცა საშინელი მოუსავლობისა და კატასტროფის წინაშე ვდგევართ, ცხადია, მინიმუმი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შინაური მოსავლით შეუძლებელია. ამიტომ აუცილებელი საჭიროება ხდება გარედან დახმარება; დასავლეთ საქართველოს გარეშე ქვანა იმ ზედმეტი სურსათ-სანოვაგისა, რომელიც ასე აუცილებელია მისთვის.

შეიძლება აღმოსავლეთ საქართველომ შესძლოს ამ დანაკლისის შევსება? შეიძლება საქართველოს ამ ნაწილიდან ზედმეტი სანოვაგის გამოზიდვა? მაგრამ იგივე ოფიციალური ცნობები გადმოგვცემენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოშიაც ვერ არის საქმის მდგომარეობა რიგიანს პირობებში, რომ აქაც რამოდენიმე მაზრა სიმშილის წინაშე სდგას. მართალია პურის და ხორბლის მოსავლით აღმოსავლეთი საქართველო განთქმული იყო, მაგრამ წრევანდელმა მოუსავლობამ აქაც თავისი უარყოფითი შედეგები ძლიერ საგრძნობი გახადა და სიმშილობას ვერ ასცდება საქართველოს ვერც ეს ნაწილიც.

ამ გვარად ჩვენი ხალხი დიდი გაჭირვების წინაშე სდგას. სიმშილობა უკვე მეფობს ჩვენში, მაგრამ მისი გამანადგურებელი შედეგები და ზეგავლენა ჩვენს ცხოვრებაზე მომავალში უფრო საგრძნობი შეიქმნება. სიმშილობის მიზეზები ძირშივე უნდა აღმოვფხვრათ და თავიდანვე უნდა დავსძლიოთ მას მალამო, რომ საშინელმა იარამ არ დაავადმყოფოს მთელი ჩვენი ეროვნული ორგანიზმი.

სიმშილობა დიდი უბედურება არის ერის ცხოვრებაში; მას ფიზიკურად შეუძლია გაანადგუროს ხალხი, მოუსპოს მას შემოქმედებითი ენერგია, დააჩიაგოს და დაავგლახაკოს.

ყველას თვალწინ გვიდგას ვოლგის მხარის დამშეულთა შემაძრწუნებელი მდგომარეობა. საკმარისია გაზეთის მხოლოდ ქრონიკა ამოიკითხოთ დამშეულთა მდგომარეობის შესახებ, რომ გაიგოთ, თუ როგორის საშინელებითა და განადგურებით მოქმედებს სიმშილობა ხალხის ცხოვრებაზე. ვოლგის მშრომელი გლეხობის მდგომარეობა აუწერელია, ჩვენც ასეთი შესაძლებლობის წინაშე დავსდგებით, თუ თავიდანვე არ მივიღეთ შესაფერისი ზომები.

მაგრამ დიდ ტანიანი რუსის ერი შესძლებს გადაიტანოს ვოლგის სიმშილობა, შედარებით მის პირობებთან ეს სიმშილობა ვერ იქონიებს გამანადგურებელს შედეგებს. ჩვენისთანა პატარა ერისათვის კი—ვოლგის მდგომარეობა პირდაპირ ნაციონალურს გადაშენებას მოგვცემს.

ამიტომ არის საჭირო, რომ მთელის ჩვენის შეგნებით გავიგოთ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა და მთელი ჩვენი ენერგიით შევუდგეთ მის გამოსწორებას.

გაერთიანებულის ფრონტით სიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლა, აი რას მოითხოვს ქართველი საზოგადოებისაგან ქართველი ხალხის დღევანდელი მდგომარეობა.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენთვის საჭიროა სურსათ-სანოვაგის გარედან შემოტანა. რუსეთის ბაზარი და საზოდოთ საბჭოთა რესპუბლიკები ჩვენს გაჭირვებას ვერ უშველიან. იქ არსებული სიმშილობა და ეკონომიური კრიზისები ამის შესაძლებლობას არ აძლევს მათ. მიუხედავად ამისა საბჭოთა რუსეთმა საგრძნობი დახმარება აღმოგვიჩინა და ძმურად გამოგვიწოდა ხელი ამ გაჭირვებულს პირობებში.

ჩვენ უნდა მივმართოთ და იძულებული ვხდებით გამოვიყენოთ კაპიტალისტური ქვეყნების ბაზარი. აქ კი საკითხს სწყვეტს უმთავრესად სპეკულაცია და მოგების ინტერესი. კაპიტალისტური ქვეყნების ჰუმანიური გრძნობა უძლური რაიმე ქველმოქმედების მიზნით დახმარება აღმოუჩინოს დამშეულ საქართველოს. ვოლგის საკითხმა ნათელი მოგვცა იმ აზრს, რომ იმპერიალისტები საკმაო პოლიტიკურს ვაჭრობას აწარმოებენ დამშეულთა ხარჯზე და მთელი მდგომარეობით სურთ შექმნან თავიანთვის ხელსაყრელი პირობები.

ასეთს პოლიტიკას „ვაჭრობის“ წარმოებას არც ჩვენთან იუკადრისებს ევროპა და შეეცდება პირობებით საკმაოდ ისარგებლოს.

მაგრამ გამარჯვება და პირობების გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება, თუ შეერთებულის ძალღონით გამოვალთ ამ საქმეში.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკას მთავრობა ენერგიულის ზომებითა და საშუალებებით შეუდგა სიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლას. უკვე შემუშავებული არის საკმაოდ მოზრდილი გეგმა ამისათვის. მაგრამ მარტო სახელმწიფო აპარატი ვერ შესძლებს შესაფერისად ჩაატაროს ეს კამპანია. გარდა ამისა მუშურ-გლეხური რესპუბლიკის სალარო, მისი ეკონომიური და მატერიალური დოვლათი გაცარიელებულია; საგარეო ვაჭრობის შესაფერისად წარმოება კი ჩვენგან მოითხოვს დიდს თანხას.

ყოველ ეს მდგომარეობა ჩვენგან გარკვეულ გეგმით მუშაობას მოითხოვს: სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გვერდში უნდა ამოუდგეს ფართო საზოგადოება. რესპუბლიკის მთავრობას ყოველ დარგში დახმარება უნდა გაუწიოს ჩვენმა საზოგადოებრივმა ელემენტებმა. ჩვენი მდგომარეობა დღეს ისეთია, რომ მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ძალების ამოძრავებას მოითხოვს.

ერისა და ხალხის სიყვარული, რომლის შესახებაც ასე ბლომად გაჰკვიოდნენ ჩვენებური მემარჯვენეები, პრაქტიკულად უნდა იქნეს დამტკიცებული. და დღეს მათ შემთხვევა ეძლევათ შესაფერისად დაჰქონ გამოცდა და დაამტკიცონ ხალხს თავიანთი სიყვარული. აქ პოლიტიკური მომენტების მოტანა ყოვლად შეუძლებელი და დაუშვებელია. ასეთი მოტივებით თავს მართლება არსებითად ხალხისადმი ღალატის ჩადენას ემსგავსება.

ვისაც სურს ხალხის სამსახური—მისთვის ფართო ასპარეზი არის გადაშლილი სამოღვაწეოდ და ამ საქმეში ჩვენ არ უნდა ვნახოთ დეზერტირები არც ერთ საზოგადოებრივ წრიდან.

გაერთიანებულის ფრონტით სიმშილობის წინააღმდეგ, აი ჩვენი ხალხის დღევანდელი დევიზი და სამოქმედო პლატფორმა.

ჩვენი მოვალეობაა მთელის ჩვენის ენერგიით დავეხმაროთ მთავრობას და ამ დიდს და მშვენიერს საქმეში და მასთან ერთად შევუდგეთ ჩვენი ხალხის სამსახურს.

## გალიუცინაცია

საბჭოთა ხელისუფლება რაღაც დიდ საფრთხედ მოევლინა ჩვენი საზოგადოების ზოგიერთ ნაწილს. ერთ წელზე მეტი ხანი გავიდა, მაგრამ ზოგი ჯერაც ვერ მიმხვდარა მომხდარ მოვლენათა აზრსა და მნიშვნელობას, ვერ გაურკვევია თავისი მიზნები და ხალხისა და ერის სამსახურისათვის ვერ ჩამდგარა მებრძოლთა რიგებში.

საბჭოთა წყობილების პირველ დღეებშივე ერთი თვისება დაეჩემდა ეგ. წოდ. საზოგადოებას. ეს თვისება გალიუცინაციაში სახიერდება.

ფსიხოლოგიამ იცის, რომ გალიუცინაცია ხდება, როდესაც ადამიანის აზროვნება შეპყრობილია რაიმე ერთი საგნისა თუ მოვლენის ყურადღებით. ასეთი ყურადღების უკიდურესი განვითარება შექმნის ადამიანის სულიერ ცხოვრებაში მოჩვენებათა რიგს.

ფსიხოლოგიის ეს კანონი აუცილებლად უნდა მოვიგონოთ, როდესაც ჩვენი საზოგადოების სულიერ ვითარებას გავეცნობით.

„დასავლეთის ორიენტაციამ“ იმ ანორმალ საზღვრამდე მიიყვანა მემარჯვენე წრეების სულიერი ცხოვრება, რომ გალიუცინაცია ემართებათ ძლიერ ხშირად.

ჩვეულებრივად ამ მოვლენას ჭორებს ეძახიან, მაგრამ ეს არ არის მართალი. ჭორი ის არის, როდესაც ან ტყუილს მოიგონებ, ან სიმართლეს გააზვიადებ. დღეს კი ასეთი ჭორები იშვიათია. უფრო ხშირია მოჩვენებათა ზეგავლენის ქვეშ ყოფნა.

იმდენად დარწმუნდა ზოგიერთი საბჭოთა წყობილების დამარცხებაში, რომ სიზმრებშიაც კი ინგლისის ჯარი აგონდება, რომელიც ტრიუმფით მოიყვანს მენშევიკებს და პარიზის კაპიტალთა კარიდორიდან ჩვენს სასახლეში გამოუშვებს.

რელიგიის ისტორიიდან ვიცით, რომ ფანტასტიური რწმენა ადამიანს გონებას დაუხშობდა და დიდ მსხვერპლს, ხშირად სიცოცხლესაც მიატანინებდა კერპთა სამსხვერპლოზედ. დღეს მენშევიზმი ზოგიერთ გულუბრყვილოთათვის რელიგიური სამოსელით არის შემოსილი და როგორც ნაპოლეონის აჩრდილი ზღვით უახლოვდებოდა საფრანგეთს, ისე ვითომც მენშევიკების აჩრდილიც უახლოვდება შავი ზღვით წითელ საქართველოს.

რწმენა სამეფო ხშირად სჭარბობს გონების სამფლობელოს და ამით უნდა აიხსნას ზოგიერთთა რწმენა საბჭოთა ძალა-უფლების დაცემის შესახებ.

ფსიხოლოგიურად ეს ადვილი ასახსნელია. ოთხი წლის განმავლობაში ამ წყობილების დაცემას ამტკიცებდენ ყოველ გზა ჯვარედ ნზედ. პირველად ეგონათ, რომ ოთხ-ხუთი დღე საკმაო იქნებოდა ამ საქმისათვის. შემდეგ ოთხ-ხუთი კვირა საკმაოდ მიაჩნდათ. შემდეგ ოთხ-ხუთი თვეების იმედი ჰქონდა ხოლო დღეს ამ წყობილების წინააღმდეგ სისტემატიურად ბრძოლამ, ისე ღრმად დაარწმუნა ზოგიერთი, რომ ოთხი წლის შემდეგაც ისევ თუთიყუშივით იმავე აზრს იმეორებს და გალიუცინაციები აღარ ასვენებს.

მემარჯვენე წრეები სავსებით დაშორდა ამიერ სამყაროს და იმიერ სამყაროს წინაშე მაინც წარსდგებიან ამბავდ მათ „სულიერ მამებთან“ ერთად.

ერთი მაინც აღსანიშნავია მემარჯვენე წრეების მიმართ. მათი საყვარელი ძმები მილიუკოვ შულცეები უფრო საღოწარკვეთას არიან მიცემული, ვიდრე ჩვენი მემარჯვენე წრეები.

დღეს მილიუკოვის გაზეთს ვკითხულობდი, რომელშიაც ახასიათებს ევროპის სახელმწიფოს ინტერესთა წინააღმდეგობას რუსეთის საკითხის მიმართ და გულნატკენად დაასკვნის მეთაური, რომ ევროპის დიპლომატთა წინააღმდეგობით საბჭოთა ხელისუფლება სარგებლობს და გონივრულად იყენებს საერთაშორისო მდგომარეობასო.

ასე რომ მილიუკოვი უფრო პესიმისტია საბჭოთა ხელისუფლების დაცემაში, ვიდრე ზოგიერთი „სოციალისტი“ ჩვენში.

ამას გარდა „ვეხისტები“ საუკეთესო ნიმუშია რუსეთის ემიგრანტ-ინტელიგენტების ცხოვრებისა. იქ უკვე იწყება უკან დახევა თავისი გზიდან (რაც არსებით წინსვლაა) აქ კი კვლავ ცდილობენ პატარა მახინაციებით ხელი შეუშალონ სახელმწიფოებრივ მშენებლობას და თავისი პატარა სულით ვითომდა ერის სამსახურისათვის ერის საქმეს ერთი მუგუზალი შეუმატონ.

მაგრამ ისტორიის განაჩენს ვერ შეაჩერებს პატარა ჯგუფების კურიოზული მახინაციები.

ძველი სამყაროს რღვევაში მოყვება ის ხავსი, რომელიც შერჩენია ძველი კედლების ნაოჭს. ახალი ცხოვრება იზობა ტანჯვით, სიმშილით, ომებით და რევოლიუციებით, მაგრამ ეს დროული ტანჯვა საწინდარია მარადიული თავისუფლების.

საქართველოს თავისუფლება მიწასთან გაასწორა ძველმა სამყარომ, იგი უნდა განამტკიცოს ახალმა სამყარომ.

კაპიტალიზმმა მონებად გაგვხადა, სოციალიზმმა უნდა გვიხსნას ყოველი ჩაგვრისაგან.

მთლიანი და განუკვეთელი საქართველო უნდა წარსდგეს ჩვენი მომავლის წინაშე და კულტურული აღორძინებით საპატიო ადგილი უნდა დაიჭიროს კულტურულ ერთა შორის.

რაც დღეს ზოგიერთს ელანდება, ისტორიისათვის იმას იმდენი მნიშვნელობა აქვს, როგორიც ჰიანჭველის შრომას რევოლიუციისათვის.

დრუბელი გადაიარს, მზის სხივები გაფანტავს მოჩვენებათა აჩრდილებს, გალიუცინაცია დაშორდება ჩვენს სულს, ხოლო საქართველო ისევ ლაღად და თავისუფლად საქართველოდ დარჩება.

ჩვენ კი გონს მოვიდეთ და ხალხის კეთილდღეობისათვის ვიმუშაოთ.

ს.

## სამხატვრო აკადემია

ფრიად დიდი მნიშვნელობის კულტურულ დაწესებულებას ეწყება საწყისი ჩვენს დედაქალაქში. სამხატვრო აკადემია, რომელიც ფაქტიურად უკვე დაარსდა და დამტკიცდა მისი ადმინისტრატიული (პროფესორთა) საბჭო, იმდენად ახალი მოვლენაა ჩვენი კულტურის ისტორიაში, რომ არ შეიძლება ამის გამო არ გამოვსთქვათ ჩვენი სიხარული.

იმ ქვეყანამ, რომელმაც წარმოშვა ბექა ოპიზარი, რომლის მხატვრულ-ხელოვნურ ქანდაკებას და საზოგადოთ მის ნაწარმოებს ხუროთმოძღვრების დარგში, დღესაც განცვიფრებაში მოჰყავსთ ევროპის მეცნიერნი, იმ მხარემ, რომელმაც შექმნა შეუდარებელი ნიმუში ქანდაკებისა, ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, გელათის მხატვრობა, ატენის სიონი, ხახულის ცნობილი სახარების ყდა და მრავალი დიადი ნაკვთი ხელოვნების დარგში, რომ მოიპოვა ისეთი ძვირფასი რამ როგორიცაა სამხატვრო აკადემია, აუცილებლად ღირსშესანიშნავია და მრავალი ახალი იმედების აღმძვრელი.

ბუნებრივია და დროული სამხატვრო აკადემია იმ ქვეყნისათვის, სადაც მრავალ ფეროვან ჰანგზე გალობდნენ მაღალ-ნიჭიერნი მიქაელ მოდრეკილნი, „ენა რიტორი“ შავთელები, ჩახრუხანი, საიათნოვანი და სხვა ზესთაბუნებრივი ნიჭით ცხებულნი ჩვენი კულტურის ისტორიის ბუმბერაზი გმირები.

საქართველოს ის კუთხეა სადაც მრავალ „თვალ-მარგალიტად“ გაბნეულია უხსოვარი დროიდან შექმნილი ხალხის სიბრძნე როგორც ზეპირ სიტყვიერებად, ისე მუსიკისა და ქანდაკების სფეროში და ცხადია მისი შეკრება და შესწავლა სანატრელი და საწუკვარია ყოველი ქართველისათვის.

ყოველი აღმოჩენა, ყოველი წარწერა, ყოველი მხატვრული ნიმუშის შესწავლა გარდა იმისა რომ ამდიდრებს ჩვენი ხელოვნების ის-

ტორიას, იმავე დროს დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს ერის ისტორიისათვისაც, ვინაიდან მას შეუძლია ან განამტკიცოს და ან სრულიად უარყოს რომელიმე ისტორიული ფაქტი.

ამიერიდან ჩვენ გვექნება სახელმწიფო უნივერსიტეტის გვერდით სამხატვრო აკადემიაც, რომელიც იქნება სიმბოლო ქართული ხელოვნების აყვავებისა ჩვენში. მის წინ გადაშლილი იქნება დილემა ქართველთა შორის დამარხული ხელოვნების გენიის გამოხმევისა და განვითარებისა.

თუ დავით აღმაშენებლის დროიდან უკვე იყო ასეთი დარგის მოთხოვნილებანი ჩვენში და ბიზანტიის ხელოვნების აკადემიებში ასობით იგზავნებოდა ქართველი ნიჭიერნი ახალგაზდანი, დღეს საკუთარ კერაზე გვექნება ასეთი რამ და მასში დამწიფდება იმ ქართველის სული, რომელიც წინედ საზღვარგარედ ვერ მიდიოდა და საშოშივე კვდებოდა მისი ცოცხალი ბუნება და გაუშლელი ნიჭი.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ ჩვენი კულტურით და ვამბობთ, რომ იმ დროს, როცა დღევანდელი ევროპის ზოგიერთი ერები საშუალო საუკუნეებში ბარბაროსული მდგომარეობაში იყვნენ და შეკავშირებული ბანდების სახით ესხმოდნენ ერთი მეორეს და მხოლოდ ახალი საუკუნოების მიჯნაზე ეღირსათ სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შექმნა, მაშინ და მრავალი საუკუნოებით მის წინეთაც ჩვენი ერი დაუღალავი ენერგიით ერთის მხრივ ამაგრებდა და იცავდა ეროვნულ ტერიტორიალურ მთლიანობას და მეორეს მხრივ ქმნიდა ძვირფას ისტორიულ განძს, ლიტერატურას, მუსიკას და საზოგადოთ ხელოვნურ კულტურას აძლიერებდა. და სწორედ ამ ეროვნული კულტურის „სიძველით“, ჩვენი ისტორიული გამოცდილებით და შორეული წარსულით ვამაყობთ სხვა ერთა წინაშე და აშკარაა ეს „ამაყობა“ სრულებითაც არ სცილდება ბუნებრივ-სამართლიანობის ჩარჩოს.

ქართველი ერი განათლებული ერია, მის კულტურულ ტენდენციას მრავალი უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი შეეფერება, ჩვენ არ ვამბობთ, რომ დღევანდელი აკადემია სრულიად ახალი იყოს ჩვენი ისტორიისათვის, არ გვავიწყდება ამავე დროს საქართველოში არსებული (მე-XII საუკუნეში) უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ძლიერი იყო პეტრიწონელის და ნიკორ წმინდელის ორიგინალური და ნათარგმნი ფილოსოფია და ექვთიმე და გიორგის მიერ ნათარგმნი ბიზანტიური და არაბული სამეცნიერო შრომანი. ჩვენ ხსოვნაში გრემის აკადემია მუდამ ბრწყინვალე შარავანდედით იქნება მოცული და მისი მოგონება ყოველთვის ცოცხალ კულტურულ პერსპექტივას გაგვიშლის თვალ-წინ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მაშინდელი აკადემიის სქოლასტიკური საფუძველი ფარგლავდა „აკადემიის“ მეცნიერების ორბიტას და ამ მხრივ დღევანდელი სამხატვრო აკადემია გაცილებით ძლიერია, გაცილებით მდიდარია თავისი მეცნიერული მიზნებით და ახალი სულით.

საქართველოს სამხატვრო აკადემია აგებულია ცოცხალი ბუნების შესწავლის პრინციპზე იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს და განავითაროს პლასტიური ხელოვნების ყველა დარგების სწავლა საქართველოში. და რომ ეს აზრი მიღწეული იქნეს, სამხატვრო აკადემია, როგორც მის პროგრამაშიაცაა აღნიშნული, აწყობს სპეციალურ სახელოსნოებს პლასტიური (სახვითი) ხელოვნების შესასწავლად, ნიშნავს სისტემატიურ-აკადემიურ ლექციებს ხელოვნების ყველა თეორეტიულ და ტეხნიკურ საგნებზე, სწავლობს ხალხის ზნე-ჩვეულებებს და ძველ ხელოვნებას, აარსებს აკადემიასთან აკადემიურ ბიბლიოთეკას და მუზეუმს და ამზადებს მასწავლებლებს საქართველოს სასწავლებელთათვის. აი მოკლეთ ის მიზნები, რომელსაც უნდა ემსახუროს საქართველოს სამხატვრო აკადემია. ის მისცემს ამიერიდან ქართულ სკოლებს შესაფერისად მომზადებულ მასწავლებლებს მხატვრობის დარგში და ეს უდიდესი ნაკლი გამოსწორებული იქნება მოკლე ხანში.

სამხატვრო აკადემია მტკიცე თავშესაფარი იქნება სამხატვრო ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდობისათვის, ის შეისწავლის ჩვენი კულტურის წარსულს, შესასწავლად გამოსახავს აწმყოს და ამიერიდან მისცემს ბუნებრივ საწყისს ქართული ხელოვნების ევოლიუციას.

ჩვენ სიხარულით ვეგებებით მის გახსნას საქართველოს დედა ქალაქში და აღვნიშნავთ მის დიდ მეცნიერულ ღირებულებას ჩვენი კულტურის განვითარების ისტორიაში.

გ. თავზარაშვილი.

# სომხეთა ფედერალისტების პარტია

სომხებშიაც დაარსდა ფედერალისტური პარტია. მართალია გვიან, მაგრამ მაინც დაარსდა, რადგან დრომ მოითხოვა ამ პარტიის არსებობა. პარტიობა ახალი არ არის სომხებისათვის, იგი მოცვა ათ წელიწადზე მეტია, რაც პარტიული მოძრაობა დაიწყო სომხებშიც მას შემდეგ განსაკუთრებით, რაც ოსმალეთის სომხებში გაძლიერდა მამულისშვილობა და განთავისუფლება ამ მძიმე მდგომარეობისაგან, რომელშიც იმყოფებოდა ხომხობა ოსმალეთში. ამას მოითხოვდა პოლიტიკური ცხოვრება, და მართლაც დაიბადნენ რამდენიმე პარტიები ზემოხსენებულ მიზნით. ამ პარტიებში ბოლო დროებში გაძლიერდა დაშნაკელების პარტია, რომელმაც როგორც ვიცით, მოახერხა კიდეც სომხეთის ხელისუფლების ჩაგდება და გაბატონება. პარტია ეს აღჭურვილი იყო ვიწრო პატრიოტიზმით და ახლო წარსულმა გვიჩვენა ცხადად, რომ დაშნაკცუთუნი შემცდარ გზაზედ იდგა და ვერ შესძლო გამოეყვანა ქვეყანა ამ კრიტიკულ გაჭირვებისაგან, რომელშიაც ჩავარდნილიყო „ჰაიასტანი“ რომანტიულიზმით გატაცებული ახალგაზდობის და ინტელიგენციის წყალობით. მათი მოქმედება ბავშური, ეგოისტური იყო არა შეთანხმებული სხვა ერების ინტერესებთან და ამიტომაც ცუდ და წინა[illegible] შედეგებს მიაღწია. მეორე პარტია — „ჰნჩაკელების“ იყო თუმცა ინტერნაციონალურ იდეებით, მაგრამ ძალიან სუსტი, არ გავრცელდა ხალხის ფართო წრეებში და თითქმის ვერაფერი მნიშვნელოვანი როლი ვერ აასრულა სომხეთში.

ბურთი და მოედანი დარჩათ ბოლშევიკებს, რადგან პოლიტიკური ახლანდელი მდგომარეობისთვის აუცილებელი გახდა ეს. მსოფლიო ომმა დროებით გააერთიანა ოსმალეთის და რუსეთის სომხობა. დიდ სომხეთის პოლიტიკური აღდგენა ვერ მოხერხდა და სომხები დარჩნენ კიდევ ძველი გატეხილი გობის ამარა.

ძველი რუსეთის ძველი ცხოვრება სრულებით დაინგრა ძველი წესწყობილება დაუბრუნებლად დაიკარგა. დადგა ჩვენთვის უფრო ღვიძლი ახალი წესწყობილობა.

და ამ ახალი წყობილობამ გამოიწვია ახალი პარტიის დაბადება. ამ პარტიის დამაარსებელი გ. ტერ-ოუზინიანი აი რას სწერს თავის ახლად გამოსულ გაზ. „ნორ-კიანქის“ (ახალი ცხოვრება) 1 ნომერში: „ძველი ცხოვრების და გარდასავალ პერიოდის სამწუხარო მემკვიდრეობაა, რომელიც დღეს გვიშლის ახალ ცხოვრების წესწყობილების სიამოვნებით მიღებას.

„გვაქვს იარები, რომლებსაც მორჩენა ეპირვება, ბნელი თავები გვყავს, რომლებსაც სინათლე ეპირვებათ, ძველი და ქანგიანი მცნებანი და შოვინისტები, რომლებიც გარდამავალ ხანებში გაძლიერდნენ და ეხლა გვიშლიან ჩვენი ახალი ცხოვრების მოწესრიგებას —გვყავს ნაკლებობანი, რომლებიც უცოდინარობის შედეგები არიან და მოისპობიან, როცა მშრომელნი ცდით გაუგიჯობესდებიან (упражняются, напрактикуются). გ. ტერ-ოუზინიანმა თავის პარტიის ორგანოს, ზემოხსენებულ „ნორ კიანქის“ პირველივე ნომერში დაბეჭდა პარტიული დეკლარაცია, რომლიდანაც მოგვყავს შემდეგ მთავარი აზრები:

„ჩვენ სომეხ ხალხში არიან ბევრნი, რომლებიც ფედერაციის მომხრენი არიან, მაგრამ იგინი იკარგებიან უთანხმოებაში ჩამოუყალიბებელ და შავ მასებში.

დროის ძალდატანებითი მოთხოვნილებაა, რომ სომეხი ფედერალისტები ერთმანეთს დაუახლოვდნენ, მოეწყონ და ეხლა დაეხმარონ სომეხ ხალხს ბოლო დროის იარების განსაკურნებლად.

პარტიის მსოფლმხედველობის და ტაქტიკის შესახებ სწერს:

„ჩვენ განვსაზღვრავთ ჩვენ ტაქტიკას დროის მოთხოვნილებათა თანახმად. ჩვენ ვირჩევთ რევოლიუციონურ ტაქტიკას მხოლოდ დესპოტიზმის წესწყობილების დროს, როცა ხალხის მშრომელ მასებს სხვა [illegible] თავისუფალი გამოთქმისა და მოწყობისათვის. მაგრამ, როცა სახალხო წარმომადგენლობის ან საბჭოთა წესწყობილების დროს მშრომელ ხალხს მეტნაკლებად თუ ცოტათ შეეძლება აქვთ თავისუფლად გამოსათქვან და მოეწყონ, ასეთნაირ დროს უარვყოფთ მოქმედებას რევოლიუციონურ მეთოდის და მივდევთ თანდათანობითი განვითარებას, ევოლიუციის ტაქტიკას, ლეგალური კანონიერი საშუალებებით.

ანანური ჭეშმარიტებაა უკვე ის შემეცნება, რომ საბჭოთა ხელისუფლება სასარგებლო და საჭირო ფაქტორია სომეხ მშრომელ ხალხის და მის მეზობლების სოლიდარულ გაფართოვებისათვის,

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ გავაძლიერებთ იმ ელემენტებს, რომლებზედაც დაყრდნობილია საბჭოთა ხელისუფლება.

სრულიათ ვეთანხმებით რა სოციალიზმის და კომუნიზმის საბოლოო მიზნებს, ჩვენ ვდგევართ ევოლიუციის თვალსაზრისზე, ასე ჩვენ ერთი აზრისა ვართ იმ ტაქტიკასთან, რომელიც ამ ბოლო წელს წინ მიჰყავს სახელმწიფო კაპიტალიზმის იდეას და ზრდის ქვეყნის აღებ-მიცემის ცხოვრებას.

ასე ვეთანხმებით რა საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ ახალ პოლიტიკას, რომლის ლოღიკურ განფართოვებით მხოლოდ შესაძლებელია ქვეყნის დანგრეულ ეკონომიის აღდგენა, ჩვენ ყველაფრით ხელს შეუწყობთ მთავრობას ქვეყნის ეკონომიის საზოგადოებრივი და კერძო ინიციატივით გაჯანსაღებას.

იმ საგანზე, თუ რანაირი ფედერაცია საჭიროა კავკასიის ხალხების და ერებისთვის, სწერს შემდეგს:

„უნდა ვსთქვათ, რომ კავკასიელი ფედერაცია უნდა სწრაფად განხორციელდეს, რაც გააღვივებს კავკასიის და რუსეთის ფედერატიულ კავშირს და შემდეგ რუსეთის, ევროპის, აზიის ხალხების ფედერაციას. ასე ჩვენი საბოლოო მიზანია მსოფლიო საკაცობრიო ფედერაციის შექმნა, თუ რომელიმე ტერიტორიულ საზღვრებისა და ძალდატანების და ყალბი ნახევარ საშუალებებისა წყნარი და მშვიდობიან ცხოვრების გასაჩენად და ყველა შესაძლებელი კონფლიქტების ასაშორებლად საჭიროა მიიღება არა თუ ეროვნული ტერიტორიების, არამედ ერთვნების კა-

# სადღეისო მუსაიფი

წარსული საუკუნის პირველ მეოთხედში დავით რიკარდო ეკონომიური ცხოვრების პირობათა ძიებისა და გარკვევის დროს, იმ ბეჯით დასკვნამდი მივიდა, რომ გადაჭრით აღიარა: „პოლიტიკურმა რევოლიუციებმა თავისი დრო მოჭამა და დადგა დრო სოციალური რევოლიუციებისათვის. ეს სთქვა იმ დავით რიკარდომ, რომელიც ერთი უმთავრესი მამამთავართაგანია ბურჟუაზიულის პოლიტიკური ეკონომიისა და და რომელსაც სოციალიზმისა არა ესხო რა. იმ ხანშივე ფურიე დაბეჯითებით გამოსთქვამდა იმ მტკიცე რწმენას, რომ აწი იწყება ხანა სოციალური რევოლიუციებისათ. ფურიე კი ხომ მამამთავართა უტოპისტური სოციალიზმისა. მართლაც, ჩვენ დღეს კარგათ ვიცით, რომ შემდეგმა დრომ ზედ მიწევნით და სრული სინამდვილით დაამტკიცა და დაადასტურა ამ ორის მოაზროვნის შეხედულება და მტკიცე რწმენა. სწორედ წარსული საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ორჯელ მოხდა დიდი და თვალსაჩინო რევოლიუცია და ორივე ცდა იყო სოციალური რევოლიუციის დასაწყისისა, ერთი ასეთი რევოლიუცია იყო 1848 წ. რევოლიუცია, ხოლო მეორე 1871 წლის პარიზის კომუნა. ასეთი ხასიათისა რომ იყო 1848 წლის რევოლიუცია, ამას ადასტურებს ლასალის განცხადება, რომ 1848 წელი დასაწყისია ახალი სოციალურ მოვლენათა, ისეთ მოვლენათა, როცა ისტორიის სარბიელზე პირველად გამოვიდა პროლეტარიატი, რომელმაც ახალი შინაარსი შთაბერა რევოლიუციებსათ. ლასალის ეს აზრი დღეს ყველასაგან მიღებული და აღსარებულია. პარიზის კომუნა კი რომ ცდა იყო სოციალური რევოლიუციის დასაწყისისა, ამას, მგონია დღეს ვერავინ უარს ვეღარ ჰყოფს.

ეს ორი ფაქტი ცხად ჰყოფს, რომ ყოველი რევოლიუცია, რომელიც იმ დღიდან ევროპის ნიადაგზე თავს იჩენდა, უნდა ყოფილიყო დასაწყისი სოციალური რევოლიუციისა და მეტნაკლები ცდა ასეთი რევოლიუციის ჩატარებისა. ასედაც მოხდა. 1905 წლის რუსეთის რევოლიუცია ცდილობდა შექმნილიყო დიდ რევოლიუციად და ამიტომ მან მოინდომა, რომ სოციალური რევოლიუციის დასაწყისის საფუძვლებში ჩაეყარა. მაგრამ იმ ხანათ ცდა ცდათ დარჩა და საქმე წაგებულ იქნა. მაგრამ ამ მარცხს რუსეთის რევოლიუციონერთათვის სრულებით არ მოუსპია სანუკვარი იმედიანობა: შემდეგში, როცა გარემოება ხელსაყრელ პირობებს მოიტანდა, ყოველი რუსი სოციალისტი და რევოლიუციონერი ეცდებოდა, მონაწილე და მომქმედი ყოფილიყო სოციალური რევოლიუციის ქარტეხილსა. ჩვენ ვიცით და მკითხველსაც კარგად მოეხსენება, თუ კი იგი ოდნავ მაინც იცნობს რუსეთის ინტელიგენციისა და პროლეტარიატის მოძრაობის ისტორიას, რომ არც ერთი რუსი სოციალისტი და რევოლიუციონერი მოღვაწე არ ყოფილა, რომლის მტკიცე რწმენა არ ყოფილიყოს, რომ რუსეთში უეჭველად უნდა დაგუგუნებულიყო სოციალური რევოლიუციის ალი, რევოლიუციის აფეთქებისათანავე. მე აქ არ გამოვუდგები ამ აზრის დამტკიცებას დეტალურად. ამ ჟამად ეს სრულებით საჭიროც არ არის. აღვნიშნავ მხოლოდ ორიოდე თვალსაჩინო ფაქტს.

უეჭველია, ეს აზრი სწამდა და სჯეროდა გერცენს, როცა იგი ამბობდა, რომ „რუსეთის მომავალი მოქალაქე ყაზახი იქნება“. (Человек будущаго в россии—мужик). ამ გვარივე ბეჯით რწმენას გამოსთქვამდა ჩერნიშევსკი, როცა ამბობდა, რომ ყოველმა სოციალისტმა უნდა ბედი სცადოს და მოძრაობაში გატაცებით ჩაერიოს, როცა კი მას ამის შემთხვევა მიეცემათ. და წინდაწინვე არ უნდა გაიტეხოს გული იმ წარმოდგენით, რომ გატაცება მარცხით დაბოლოვდებათ. აღარას ვიტყვი ბაკუნინზე, რომელიც რღვევისა და ნგრევის მოციქულად არის წოდებული და, რომელიც თავის მეგობარს იტალიელ სოციალისტს ჩელსო ჩერეტის აქეზებდა, რომ მას მოეწყო აჯანყებანი და გამოსვლები იტალიის ქალაქებისა, ვინაიდან სწორედ ეს მისცემს რევოლიუციას ხასიათს დეცენტრალიზაციისასო, წინააღმდეგ ცენტრალისტური რევოლიუციისასო, რომლის წარმოებას ცდილობს და რომლის განადიდებას ესწრაფვის ქალაქის პროლეტარიატი. ასეთივე დრმა რწმენა ასულდგმულებდა ლავროვსა და მიხაილოვსკისაც. სწორედ ასეთი შეხედულების განადიდების სურვილი იყო რუსეთის სამოცდაათიანი წლების მოძრაობა, რომელს ასულდგმულებდა აზრები და იდეები ბაკუნინისა, ლავროვისა და მიხაილოვსკისა. მას აქეთ არც ერთს სოციალისტ-რევოლიუციონერს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ რუსეთში რევოლიუცია გამოეწვია და ეს რევოლიუცია ამავე დროს არ ყოფილიყოს ცდა სოციალური რევოლიუციის დასაწყისისა.

ის კი არა, სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია აშკარა წინააღმდეგი იყო ორთოდოქსალური მარქსიზმისა უმთავრესად იმიტომაც, რომ ეს მარქსიზმი მას ეუბნებოდა: რუსეთის მკვიდრი ჯერ უნდა გამოიხარშოს კაპიტალიზმის ქვაბში, ე. ი. ჯერ უნდა მოხდეს კაპიტალის კონცენტრაცია და აკუმულიაცია და მკვიდრთა პროლეტარიზაცია, და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოხდეს რუსეთში დასაწყისი სოციალური რევოლიუციისათ. ეს განცხადება კი სოციალისტ-რევოლიუციონერთა მისწრაფებებს შორის მანძილით სდებდა. ამათ კი ასეთი ხანგრძლივი ლოდინის მოთმინება აღარ შესწევდა. ამიტომ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია, დამყარებული სუბიექტიურ მეთოდზე, გადაჭრით მოითხოვდა, რომ რუსეთს არ სჭირია ეს ლოდინი და იგი ამ კანონის გარეშე, თუ კი ეს არის განვითარების კანონი, მოახდენს მთელ რიგს ამბოხებათა, რომელნიც საძირკველს ჩაუყრიან სოციალური რევოლიუციის დასაწყისსათ. აი, ასე ფიქრობდა ყოველი რუსი სოციალისტ-რევოლიუციონერი და ამ გზით მიექანებოდა იმის ნების-ყოფაცა და გაბედული ნაბიჯი თუმცა სხვა გვარ საბუთებსა და არგუმენტებს ხმარობდა, მაგრამ ამავე შეხედულებისა იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიაც, როცა იგი ამბობდა, რომ რუსეთში მტკიცეთ მოიკიდა ფეხი კაპიტალიზმმა, იგი საოცარი სისწრაფით ვითარდებაო და, მაშასადამე, რუსეთში ახლოვდება ის დრო, როცა სოციალური რევოლიუციის ალი უნდა ავარდესო. ერთი სიტყვით, მთელი რიგი რუს მოღვაწეთა იმას ცდილობდა. იმას ესწრაფებოდა და ის ბეჯითი რწმენა აღაფრნებდა ხოლმე მის გრძნობასა და გონებას, რომ რევოლიუციის ალი, თუ კი აღიგზნებოდა რუსეთში, ეს რევოლიუცია უნდა უეჭველად ყოფილიყო გუგუნი სოციალური რევოლიუციის დასაწყისსა. ყოველ მოღვაწესაც თავისი თავი გამზადებული ქონდა ასეთი რევოლიუციის მონაწილეთ გამხდარიყო და მომქმედი ყოფილიყო ახალ სოციალურ მოვლენათა საქმეში.

მაგრამ ასე იყო წინათ. ასე აღარ მოხდა 1917 წელში—აქ ერთგვარი ყოყმანობა განიცადა სოციალისტ-რევოლიუციონერთა და სოციალ-დემოკრატთა პარტიამ. სოციალისტ რევოლიუციონერებიც და სოციალ-დემოკრატებიც (მენშევიკები) ერთბაშათ გარდიქმნენ, ფერი იცვალეს. ამით დაავიწყდათ თავისი სანუკვარი საგანი, უკუაგდეს აღტყინების ღვთაება და კადეტებთან ერთად აღიარეს, რომ ეს რევოლიუცია სოციალური რევოლიუციის დასაწყისი და ცდა კი არ არისო, არამედ ჩვენ მოვევლინეთ რუსეთს, რომ იგი რევოლიუცია წმინდა წყლის ბურჟუაზიულ რევოლიუციათ ვაქციოთო. რატომ მოხდა ეს?

ამ საკითხს შეიძლება ბევრნაირი პასუხი მივცეთ, მაგრამ უმთავრესი მიზეზი ამ საგულისხმო მოვლენისა, ჩვენი ღრმა რწმენით, ის არის, რომ გონებით ღრმათ განვითარებულსა და ნებისყოფით მტკიცეთ მორჭმულს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიას 1917 წ. აღარ აღმოაჩნდა თავისი შესაფერი მემკვიდრე. რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს კერენსკის დიდ პიროვნებათ ამოტივტივება იმ ხანათ, იმ პიროვნებათ, რომელსაც უნდა ეკისრნა დიდი საქმეებისა და მოვალეობის შესრულება. კერენსკის კი ამის შესაფერი არც მომზადება ქონდა, მას ბევრი პირადი ღირსებაც კი აკლდა. ამას ამ მოვალეობის შესრულების არც თავი ჰქონდა და არც ნებისყოფა. გარდა ამისა, მეორე გარემოება ის იყო, რევოლიუციამ იფეთქა საერთაშორისო ომის წიაღში. ამ ომის წარმოების დროს ამ ყოველი სოციალისტი და რევოლიუციონერი. რა პარტიისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, იმ რწმენით გაიჟღინთა, რომ ეს ომი თავდაცვითი ომი არისო. ამიტომ ყოველი მათგანი ხელს უწყობდა და ეხმარებოდა, რომ ომი დამთავრებულიყო თავისი სამშობლოს საკეთილდღეოთ. ეს კეთილ-დღეობა კი ისე იყო წარმოდგენილი, რომ ომის მიერ გამოწვეული აოხრება და სიმდიდრის განიავება ძლეულის ხარჯზე უნდა აღდგენილ იყო. აი, ამ სურვილმა გაიტაცა სოციალისტები და რევოლიუციონერები და ამიტომ ცდილობდნენ, ომი მიეყვანათ თავის საბოლოო დასკვნამდი, ე. ი. ერთს რომელსამე მხარეს უნდა უეჭველად ომი მოეგო და ომის მიერ მოტანილი დანაკლისი კი ძლეულის ხარჯზე უნდა აღდგენილიყო. რაც სოციალისტებს და არც რევოლიუციონერებს არ სურდათ, რომ რუსეთი ძლეული ყოფილ იყო. არამედ ამათი მტკიცე გადაწყვეტილება იყო, რუსეთი გამარჯვებული ყოფილიყო. ამას ადასტურებს პლეხანოვისა და კროპოტკინის სულიერი მისწრაფების იმ ხანათ გარდაქმნა. ამასვე ცხადით და ნათლად ხდის ის გარემოება, რომ კერენსკისა და კაკი წერეთლის მთავრობამ ფრონტზე მდგომ ჯარებს უბრძანა, იგი შეტევაზე გადასულიყო. ჩვენ ვიცით, თუ რა კატასტროფიული რამ იყო შეტევაზე ეს გადასვლა. სწორედ შეტევაზე გადასვლის ამ ბრძანებამ ამ მთავრობას ნიადაგი გამოაცალა და მას ყოველგვარი ავტორიტეტი და გავლენა ჩამოართვა. იმ დღიდან ეს მთავრობა აღარ იყო გამგებელი ქვეყნისა, რადგან შეიარაღებული ძალა, ფრონტზე მდგომი, ამ მთავრობაზე გულ-აცრუებული, ახალ ძალასა და ავტორიტეტს ეძებდა, იმ ძალას, რომელსაც იგი უნდა გამოეყვანა ამ უმწეოსა და უიმედო მდგომარეობიდან და ამავე დროს მისთვის შთაებერა ახალი ნების ყოფა და ახალი მიზნებიც დაესახა.

მაგრამ ამ ახალ გარემოებას მეორე საფუძველიც მიემატა. საქმე ის არის, რომ რუსი სოციალისტ-რევოლიუციონერებიცა და სოციალ-დემოკრატებიც სახელმწიფოებრიობის გადამეტი მოტრფიალენი იყვნენ თავიდანვე და ამ სახელმწიფოებრიობას ანაცვალებდნენ ყველაფერს. არც ერთ მათგანს არც წინად და არც ახლა ცხადათ გარკვეული და განმარტებული არ ქონდა ეროვნული საკითხი. ამათ ავიწყდებოდა ის გარემოება, რომ რუსეთში შეხიზნული განხ-

ვშირის, არა თუ ტერიტორიების ფედერაცია, არამედ ეროვნული მშრომელ მასსების ფედერაციისა. ნამდვილი ფედერაცია ხალხების კავშირია, ტერიტორიების პირობითი კავშირი კი — კონფედერაცია, რომელიც გაანელებს და გააფუჭებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღდგენას.

ეროვნული საკითხი:

ჩვენ ვაღიარებთ, რომ ეროვნული დაუბრკოლებელ და თავისუფალ კულტურის განვითარება დიდათ ხელსაყრელი ფაქტორია ხალხების სოლიდარულ ერთად ცხოვრებისთვის და ყოველნაირი დევნა ან შეზღუდვა ეროვნულ საკითხის ფარგლებში სრულებით არ შეიძლება განსხვავდებოდეს, რადგან ამას მოჰყვება ეროვნული გრძნობის მტკივნეული გამოთქმა.

გვსურს რა ეკონომიური სოლიდარობის შექმნა კავკასიაში და სხვაგან ჩვენ ვეცდებით გულწრფელი სოლიდარობა გავამაგროთ.

ოსმალეთის სომეხთა საკითხი: ჩვენი ეროვნული საკითხის ერთი თავისებური მხარეც ოსმალეთის სომეხთა საკითხია, რომელსაც აქვს თავისი გრძელი ისტორია. დიდ ყურადღებით ვუახლოვდებით რა ამ საკითხს, ჩვენ ამავე დროს მიუღებლად ვთვლით მათ საქმეებში ჩარევას და ხელმძღვანელობას. საჭიროა რომ თავიანთი საჩივარი ოსმალეთის სომხებმა თავიანთ ძალებით და თავიანთ სასურველ ფორმებით წინ წამოაყენონ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ მარტოთ ვსტოვებთ, არის მთელი რიგი ეროვნულ-კულტურული, რელიგიური და საახალშენო საკითხები, რომლებითაც ჩვენ შებმული ვართ ერთმანეთთან. დასავლეთ და აღმოსავლეთ სომეხთა შორის. საჭიროა საერთო მოქმედება, განსაკუთრებით მიტომ, რომ დღეს არ არის გადაწყვეტილი ჩვენი საახალშენო საკითხი. გარდა ამისა, ჩვენ არ უნდა მოვაკლოთ ჩვენი რჩევანი და დახმარებანი უნდა გავუწიოთ ძველი მატყუარა დიდ სახელმწიფოთა ხელში სათამაშოდ გამხდარ და სიზმრებით დატანჯულ ჩვენ ღვიძლ ძმებს. ამასთანავე ერთი ჩვენ საჭიროებისამებრ შუაკაცათ და ხიდად გავხდებით საზღვარ-გარეთ მყოფ სომეხ მშრომელ ხალხის და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების შორის, მივისწრაფებთ დაახლოვება და საურთიერთო ენა შევქნათ.

დასასრულს დავსძენთ ჩვენ, სომეხი ფედერალისტები, მიმანიშნებელი საჭიროებას ვუახლოვდებით ერთმანეთს და ამ პროგრამას უფრო გავაფართოვებთ რა ვეცდებით დიფერენციაცია შევიტანოთ ხალხურ მასაში და ჩვენ მომხრეებს გავიცანით და ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიშრომებთ რა მივისწრაფებით კაცობრიობისთვის ბედნიერობის მომტანი კომუნიზმის გამარჯვებისკენ.

გაუმარჯოს კომუნიზმის იდეალს!

გაუმარჯოს შრომას!

გაუმარჯოს ხალხების ფედერაციას!

ნ. ჩიგიანი.

# ახალი ამბები

— **რედაქციისაგან.** რედაქციას მოსდის შეკითხვები, თუ რატომ არ აღვნიშნეთ არჩილ ჯორჯაძის ცხრა წლის თავი. ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რედაქცია აცხადებს, რომ არჩილის ცხრა წლის თავი სრულდება აპრილის 5-ს (ახ. სტილით) და მაშინ იქნება საგანგებო ნომერი გამოცემული.

— **ზოოლოგიური გამოფენა.** საქ. საბუნებისმეტყველო მუზეუმი მართავს ივნისში ზოოლოგიურ განყოფილების გამოფენას. გამოფენის მოწყობისათვის სახ. განათ. კომისარიატმა გადასდო 60 მილ. მანეთი. მუზეუმის დირექტორმა აღძრა შუამდგომლობა ტფ. სახ. განყ. წინაშე 30 მილ. მანეთის გაღებაზე გამოფენის ხარჯების დასაფარავად.

— **სახალხო სასამართლო.** კვირას, მარტის 26-ს დანიშნული პირველი სხდომა სახალხო მსაჯულთა დროებითი სესიისა შრომის დაცვის კანონების დამრღვევთა შესახებ, გადაიდო შემდეგი კვირისათვის, აპრ. 2-ს. სახალხო სასამართლოს სხდომა შესდგება მუშათა სასახლის დიდ დარბაზში საქ. პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ზომები ფართო მუშათა მასსის დასასწრებლად სესიის სხდომაზე, რომელიც შესდგება ღია კარებში.

— **მიკროსკოპიულ სადგურის გაფართოება.** რკინის გზის მიკროსკოპიულ სადგურის გამგის ვეტერინარი ექიმ. ვ. ლანგის შუამდგომლობით, კომუნალურ მეურნეობის მიწადმოქმედების განყოფილებამ გადასდო 25 მილ. მან. სადგურთან ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა განყოფილების დაარსების საჭიროებისათვის. სადგურში ფიქრობენ აგრეთვე რძის გამოკვლევის წარმოებას.

— **სოციალურ დაზღვევისათვის.** ტფ. წარმოებათა შრომის დაცვის კომისიის წევრების კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება საქ. პროფ. კავ. საბჭოს შრომის დაცვის განყოფილების გამგის ამხ. ელბაქიძისა, ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია: 1) მოეწოდოს შრომის დაცვის ყველა კომისიებს 10 პროც. გამორიცხვის თავის დროზე შეტანისათვის მიიღონ ზომები, ამავე დროს სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი უნდა იქმნან ამ შემთხვევაში სუსტი. 2) ცნობილ იქმნას აუცილებელ საჭიროებად სოციალურ დაზღვევის შესახებ ახალი კანონის გამოცემა; 3) სოციალური დაზღვევის ცხოვრებაში გატარებისათვის საჭიროა მუშების მიერ თავის უფლებების ნათლად შეგნება დაზღვევის ხეირობში.

— **მუშათა სახლები.** საქ. პროფკავშირის საბჭოს შრომის დაცვის განყოფილების გამგის ამხ. ელბაქიძის მოხსენებით, შრომის დაცვის კომისიის წევრთა კონფერენციამ დაადგინა: 1) შენახულ იქმნას მუშათა სახლები; 2) დაინიშნოს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ამ სახლებს და მიეცეს მათ განსაზღვრული ინსტრუქციები; 3) საქ. პროფ. კავშ. საბჭომ და ტფ. აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ გამოსცეს სამ ენაზე (ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე) ინსტრუქცია მუშათა სახლებით სარგებლობის შესახებ. 4) პროფკავშირებს მიეთითოს, რათა თვალ-ყური ადევნონ სახლებს და 5) ეთხოვოს ტფ. აღმასკომს სახლების შეკეთება, ხოლო მცირე რემონტი დაევალოს მდგმურებს, რომლებმაც მიაყენეს სახლს ზიანი.

— **საბავშვო წიგნი „შემოდგომა“** რედაქციამ მიიღო სახალხო განათლების კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარ მართველობასთან არსებულ სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობით გამოცემული და დასურათებული წიგნი ბავშვებისათვის „შემოდგომა“ პირველი, კრებული. წიგნი სუფთადაა შედგენილი შეიცავს 68 გვერდს, მასალები შესაფერისია, სურათები ლამაზი და მხატვრულია.

— **[illegible] ს. ს. ს. რ. ოსმალეთთან.** 20 მარტს საღ. 10 საათზე საგარეო საქმეთა კომისარიატის შენობაში ოსმალეთა დიდი ეროვნული კრების რწმუნებულმა და საქ. ს. ს. რესპუბლიკის მთავრობის მიერ ხელმოწერილია კონვენცია შესახებ მცხოვრებლების მიერ საზაფხულო და საზამთრო საძოვრებით სარგებლობისათვის, რომელიც მდებარეობს საზღვრის იქითა მხრით და მოსაზღვრე რაიონების მცხოვრებლების საზღვარზე გადასვლის შესახებ თავიანთი სამეურნეო საჭიროებისათვის.

ორთავე ეს კონვენცია გამომდინარეობს ყარსის ხელშეკრულებიდან, რომელიც დადებული იქმნა გასულ წლის ოქტომბერში.

ხელმოწერილი კონვენცია ეხება მხოლოდ და მხოლოდ, უშუალოთ მშრომელი ხალხის სამეურნეო ინტერესებს ორთავე ქვეყნისას და ატარებს სერიოზულ მნიშვნელობას მოსაზღვრე მცხოვრებთა სამეურნეო ცხოვრებაში. კონვენცია ძალაში შედის 15 აპრილიდან და მოსაზღვრე მწყემსებს შეუძლიან ისარგებლონ გაზაფხულიდან საძოვრებით.

— **სავალუტო ბირჟა.** 22 მარტს სავალუტო ბირჟაზე უცხო ვალუტის კურსი გამოიხატება შემდეგში: (ათ. მან.)

| | |
|---|---|
| ოსმალ. ლირა ოქრო | 835 |
| ლირა ოსმალ. ბანკნოტ. | 175 |
| ამერიკ. დოლლარი | 245 |
| იტალიური „ | 11,5 |
| გერმანული მარკა | 1,2 |

განწყობილება მტკიცე; მოთხოვნილება მნიშვნელოვანია; წინადადება კი სუსტია.

# საგარეო კომისრის ჩიჩერინის ნოტა

**მოსკოვი.** 22 მარტი. 15 მარტს საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა ანტანტის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობამ კმაყოფილებით მიიღო გენუას კონფერენციის მოწვევა, ამ ფაქტში ის ხედავდა, რომ ბოლოს და ბოლოს დასავლეთ სახელმწიფოებმა გაიგეს, თუ რამდენად უსარგებლოა რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური ბლოკადა და თანაც მავნებელი. საბჭოთა რუსეთი უმთავრეს ნაწილში თანახმაა, ევროპიულ აზრისა, ფიქრობს რომ გენუას კონფერენცია ძირითადათ განსხვავდება ევროპიულ წინანდელ კონფერენციებისაგან. რომ ის არ განსხვავდება გამარჯვებულ დამარცხებულისაგან, დიდი სახელმწიფოს პატარა სახელმწიფოებისაგან, საბჭოთა მთავრობების ბურჟუაზიულ მთავრობებისაგან, რომ კონფერენციის ყველა მონაწილენი ისარგებლებენ, როგორც სწორი სწორთან საერთო კოლექტიურ მუშაობისათვის მსოფლიო სახალხო მეურნეობის აღდგენის მიზნით. ხოლო დიდი სახელმწიფოების მოქმედებაში გენუას კონფერენციის მოწვევის დროს, საბჭოთა რუსეთი ხედავს წინასწარ შემზადებულ აზრს განსაზღვრულ მთავრობათა ჯგუფისას. მთელი ევროპიული გაზეთები სავსეა ცნობებით მთავრობათა შორის მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მიდრეკილია იქით, რომ წარსდგეს კონფერენციაზე რუსეთის მიმართ მზა გადაწყვეტილებით. ასეთი ტაქტიკა დიდი და პატარა ანტანტების სახელმწიფოებისა ფაქტიურად ძირს უთხრის თვით კონფერენციას რა სახითაც მას პირველად იგულისხმებენ. ამასთან ერთად ცნობილი ნაწილი დასავლეთ-ევროპიულ პრესისა აწარმოებს კამპანიას ევროპიულ საზოგადო აზრის ჩასაგონებლად, თითქო შინაგანი ახალი პოლიტიკა საბჭოთა რუსეთისა — იყოს მხოლოდ კომედია, წინასწარ დანიშნული უცხოელ კაპიტალის მისაზიდავად. ეს ფაქტები რუსეთის მეზობელ სახელმწიფოების ტერიტორიაზე ბანდების თავმოყრასთან დაკავშირებით გამოაშკარავებულია ევროპაში ისეთი სულიერ განწყობილების შესაქმნელად, თითქო საბჭოთა მთავრობა უძლური იყოს იმ პირობების მიღებისათვის, რომელიც ნაკარნახევი იქნება გენუაში დიდი სახელმწიფოების მიერ.

**მოსკოვი.** 22 მარტი. ამხანაგი ჩიჩერინი თავის ნოტაში აცხადებს, რომ რუსეთის დელეგაციის ხაზი გენუას კონფერენციაზე განსაზღვრული იქნება საბჭოთა მთავრობის მიერ, ყოველი ლონისძიების ხმარებით რუსეთში სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის და მონაწილეობის მისაღებად მსოფლიო ეკონომიურ ზავის აღდგენაში. ამხ. ჩიჩერინი თავის ნოტაში აღნიშნავს, რომ ამ პოლიტიკის ძირითად მომენტს წარმოადგენს ის, რომ რუსეთში შეიქმნას პირობები კერძო ინიციატივის განსავითარებლად მრეწველობის, ვაჭრობის, მეურნეობისა, ტრანსპორტის დარგების აღსადგენად. უცხოელების ინტერესი და ქონება რუსეთში საბჭოთა რუსეთის ახალი კანონებით საკმარისად უზრუნველყოფილია, აგრეთვე პირადი და ქონებრივი უფლება რ. ს. ფ. ს. რ. მოქალაქეებისა.

ამ ნოტასთან ერთად ჩიჩერინმა ანტანტის მთავრობას გაუგზავნა მემორანდუმი, რომელიც აცნობს ანტანტას საბ. მთავრობის ახალი უფლებრივი ზომების მიღებაში სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში.

# გენუას კონფერენციის გარშემო

### სავინკოვი და ფაშისტები.

**მოსკოვი** 22 მარტი. „იზვესტია“ იუწყება სავინკოვის მოლაპარაკებას ფაშისტებთან რათა მოწყობილ იქმნას ბანდიტური გამოსვლა გზებზე, რომელზედაც საბჭოთა დელეგაცია გაივლის გენუაში.

ბანდიტებს აზრათა აქვთ მოახდინონ მთელი წყება სკანდალი დელეგაციის წინააღმდეგ და მით ჩააყენონ ისინი ბუტანელ მდგომარეობაში. იტალიელი მთავრობა ღებულობს გამაფრთხილებელ ზომებს.

### ექსპერტთა თათბირი.

**ბორდო** 21 მარტი. ორშაბათს ლონდონში გაიხსნა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და ბელგიის ექსპერტების თათბირი. თათბირის მიზანია: დაამყაროს საერთო პროგრამა გენუას კონფერენციის დღიურ წესრიგში შეტანილ კითხვებზე, სახელდობრ: რუსეთის რეორგანიზაცია და ტექნიკურ ფინანსიურ და ეკონომიურ საკითხებზე.

**მოსკოვი** 22 მარტი. იტალიის მთავრობა საქმიანათ ემზადება კონფერენციისათვის, გენუაში თითქმის ყველაფერი მზად არის მის გასახსნელად 10 აპრილისათვის. საბოლოოთ დადგენილია, რომ თავმჯდომარედ კონფერენციის გახსნისას იქნება იტალიის პრემიერი.

გახსნის შემდეგ არჩეული იქნება კომისია, რომელიც სასწრაფოთ შეუდგება მუშაობას.

პოლიტიკურ საკითხებისათვის კომისია შედგენილი იქნება მოკავშირე პრემიერ მინისტრებიდან.

### იტალიის პროგრამა.

**ნეაპოლი.** 21 მარტი. საგარეო საქმეთა მინისტრმა შანცერმა იტალიის პარლამენტში გამოაქვეყნა პროგრამა იტალიის მთავრობისა, რომელიც გატარებული უნდა იქმნას იტალიის დელეგაციის მიერ გენუას კონფერენციაზე. პროგრამამ გათვალისწინებული აქვს საჭიროება გარანტიის შექმნის [illegible] სავთვის იმ გზით, რომ [illegible] ზომები გადასაჭრელად [illegible] საერთაშორისო კონფლიქტისა და სასწრაფო განხორციელება ნამდვილ განიარაღებისა. იტალიის დელეგაცია მოითხოვს ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენას ყველა აღმოსავლეთ და საშუალო ევროპის ქვეყნებთან. პროგრამის გამოქვეყნების დროს შანცერმა აღნიშნა, რომ წინააღმდეგ იმ აზრისა, თითქო ამერიკის უარის ყოფა გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე, კონფერენციის მნიშვნელობას ნულამდე დაიყვანდეს, ის ფიქრობს, რომ კონფერენციას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. გენუაში პირველად თანასწორი ნაბიჯით პირისპირ შეიყრებიან გამარჯვებულნი და დამარცხებულნი. შანცერი დაჟინებით მოითხოვს, რომ გენუის კონფერენციამ თავი დაანებოს უტოპიურ ამოცანებს. „საერთაშორისო ზავის აღდგენას“ და შეუდგეს უშუალოდ დღევანდელ ამოცანების გადაჭრას, სახელდობრ განიხილოს ზომები ევროპიულ წონასწორობის აღდგენისა და ევროპიულ ეკონომიურ დამოკიდებულებისა.

### სკანდინავიის სახელმწიფოები და გენუა.

**მოსკოვი.** 22 მარტი. შვეციის, ნორვეგიის და დანიის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ დანარჩენ ნეიტრალურ სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ერთად განხილულ იქმნა ძირითადი საკითხები, რომელნიც წარდგენილი უნდა იქმნას გენუას კონფერენციაზე. გადაწყვეტილია მოწვეულ იქმნას ექსპერტების წინასწარი თათბირი.

### დამარცხებულთა დაჩაგვრა.

**ბორდო.** 21 მარტი ყოფილმა მინისტრმა ნაკამ მადრიდში მრავალ რიცხოვან კრებაზე განაცხადა, რომ ევროპიული პოლიტიკა დამარცხებულთა ჩაგვრისა მიიყვანს ევროპას მხოლოდ შემდეგი ეკონომიურისა და პოლიტიკურ განადგურებამდე. ამ პოლიტიკას უნდა მოეღოს ბოლო თუ მთავრობის კეთილი ნებით არა, ხალხის ავი ნებით მაინც. ეს სიტყვები აპლოდისმენტით იქმნა მოცული. დასასრულ ორატორი მოითხოვდა ისპანიისა და იტალიის მჭიდრო კავშირის საჭიროებას.

### საფრანგეთის დელეგაცია.

**ბორდო** 21 მარტი „პტი-ჟურნალის“ ცნობით, საფრანგეთის დელეგაციის მეთაურად, პუანკარეს დაუსწრებლობის შემთხვევის დროს, იქნება ბარტუ.

### პუანკარე და კონფერენცია.

**მოსკოვი** 22 მარტი. საფრანგეთის გაზეთები აშკარათ ამტკიცებენ, რომ პუანკარე პირადათ მონაწილეობას არ მიიღებს გენუას კონფერენციაში. იტალიის საზოგადო აზრი ამ ცნობას ისე უცქერის, როგორც უკანასკნელ ცდას კონფერენციის გასაბათილებლად.

### გერმანია და გენუა.

**ბერლინი.** 10 მარტი. „ბერლინერ ტაგებლატში“ ბერნბურგი კითხულობს: რა როლი უნდა ითამაშოს გერმანიამ ევროპიულ ზავის აღდგენაში? ამ საკითხის სრულად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ გენუას კონფერენციის შემდეგ, მაგრამ ეხლაც კი შეიძლება ითქვას, რომ გერმანიისათვის იქნება საშიში მდგომარეობა, განსაკუთრებით თუ რომ მივხედავთ იმ როლს, რომელსაც გერმანიას აწერენ ახალი წესრიგის დადგენის დროს მსოფლიო მეურნეობაში და განსაკუთრებით რუსეთის აღდგენაში. „წაიკითხეთ სწერს ბერნბურგი სამოხსენებლო წერილი ბრიტანეთის მრეწველებისა, რომელნიც მოითხოვენ, რომ გერმანიის შრომამ და გერმანიის კაპიტალმა შექმნას ანტანტისათვის რუსეთში შემოსავლის მომტანი ღირებულებანი. ცხადია, რომ საფრანგეთი ესწრაფვის აიძულოს რუსეთი ვერსალის ხელშეკრულების მიღებაში და დაადვას გერმანიას რუსეთის სამხედრო ვალები იმ დროს, როდესაც ინგლისი ცდილობს გამოიყენოს გერმანია მისთვის, რომ შექმნის რუსეთიდან ბაზა თავისი გავლენისათვის აღმოსავლეთში.

გაზ. „ვეიტი“ ეხება რა ამ კითხვას სწერს: „არა ჩვეულებრივი სიმართლით გამოიყენა ლოიდ ჯორჯმა გერმანიის ყველა განცხადებანი შესახებ ევროპის აღდგენისა. შესაძლებელია ინგლისის პრესტიჟი რუსეთის ეკონომიურ აღდგენის ხელმძღვანელობაზე შეიძლება მოსპობილი იქმნას [illegible] წინააღმდეგობით. მთელი მსოფლიოს პროლეტარული მასა, რომელიც უდიდესი სიმპატიური გრძნობით თვალყურს ადევნებს პროლეტარიატის დიქტატურის ბედს რუსეთში, ინგლისის პრემიერში ხედავენ მას, ვინც პირველად წარმოთქვა რუსეთის მიმართ გამანთავისუფლებელი სიტყვა. გერმანიას უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა იგივე საქმისა,

---

სხვადასხვა ეროვნებანი, თუ კი რევოლუცია გაღრმავდებოდა, გადაჭრით მოითხოვდნენ სწორ-უფლებიანობასა და სუვერენობას თვისი ერისას, რადგან ესენი ვერ დაკმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ მოქალაქის უფლების მოპოვებით. ეს კი როდი სურდათ სოციალისტებსა, რევოლუციონერებსა, ისე როგორც არც სურდათ კადეტებსა და სხვა მემარჯვენეთ. ამას კი ნათლად ამოწმებს კერენსკისა და კაკი წერეთლის მუშტები, მიღერებული ფინლიანდიასა და უკრაინისადმი. საქართველოში კი სოციალ-დემოკრატია ავტონომიაზედაც კი კრინტს არ გვაძრევინებდა და სოციალ-ფედერალისტებს კლუბებს ურბევდა და წითელ დროშას უფხრეწდა. გარდა ამისა, თუ ეს სოციალისტები და რევოლუციონერები შეუდგებოდნენ რევოლუციის გაღრმავებას და აწარმოებდნენ სოციალურსა და არა ბურჟუაზიულ რევოლუციასა, მაშინ ახრებულისა და დანგრეულის ანაზღაურებაზე ძლეულის მიერ უნდა ხელი აეღოთ. ეს კი ამათ არ სურდათ, რადგან ესენი სახელმწიფოებრიობის მოთაყვანებელნი და ცენტრალისტები იყვნენ. აი, ამ გარემოებათა გავლენით, ამათი ნებისყოფა მოდუნდა და ესენი ჩადგნენ იმ კატის მდგომარეობაში, რომელიც წყლის პირს იყო, თევზის ჩაკოკლოზინება ძალიან სურდა, მაგრამ ამავე დროს თათის დასველებაც არ უნდოდა. რევოლუციის წარმოშობისა და წამოჭრის დროს ამ კატისებური სულის სწრაფვა კი კატასტროფიულია, რადგან რევოლუციამ ლოდინი და ცდა არ იცის, იგი სწრაფი და მსრბოლია, ზვირთებივით აგორებული, მაგრამ ზვირთებისავითვე დაუნდობელი და წამლეკველი. აი, ასეთმა ვითარებამ სოციალისტთა და რევოლუციონერთა ფსიხიკა გარდაქმნა, სამედისწეროდ შესცვალა. ამანვე ამათ ხელი აადებინა, ეწარმოებიათ სოციალური რევოლუცია. ამიტომ ეს სოციალისტები და ეს რევოლუციონერები, თვალ-საჩინონი და წარჩინებულნი წარსულში, გაირიყნენ და რევოლუციის მთურგნავ ძალად გარდიქცნენ., ცხოვრების ცხადმა სინამდვილემ შეაშინა და დააფრთხო სოციალისტ-რევოლუციონერებიც და სოციალ-დემოკრატებიც (მენშევიკები).

ამათმა ნებისყოფამ ვერ აიტანეს სიძნელე რევოლუციის ქარ-ტეხილისა. ესენი დაიბნენ და ამათი ნებისყოფა მოდუნდა და გატყდა. ამის შედეგი კი ის იყო, რომ ესენი შეიქნენ რევოლუციის მომქმედ ძალად კი არა, არამედ ამ რევოლუციის მთურგნავ ძალად და ამათ თავი ამოყვეს კონტრ-რევოლუციონერთა ბანაკში. ამნაირათ კი ამათ, ამ უღირსმა შვილებმა შებღალეს სახელი და დიდება თვისი წინაპრებისა, წაუბილწეს ამ უკანასკნელთ ნადვაწი და ნამოქმედარი. მაგრამ რუსეთის მუშებმა და გლეხებმა განბანეს ეს ნადვაწი და ნამოქმედარი და რუსეთის მთელ სივრცეზე დააგუგუნეს ალი სოციალური რევოლუციისა. ამით კი რუსეთის მუშებმა და გლეხებმა მტკიცეთ შეასრულეს წინაპრების შემდეგი ანდერძი:

И верьте, голос благородный
Не даром в мире прозвучит!

კეთილშობილური ამოძახილი კი ყოველი რუსის მოღვაწისა, გერცენიდან დაწყებული, ხომ ის იყო, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი ძალა და უფლება ხელთ ჩაეგდო მუშებსა და გლეხებს და ეს ძალა და უფლება ამათ უნდა გამოეყენებინათ თვისდა სასარგებლოთ და საკეთილ-დღეოთ.

მუშებისა და გლეხების ამ საქციელმა ისიც დაამტკიცა, რომ რუსეთის ხალხი დიადი მომავლის ხალხია და მას შეუძლია ამ მომავალში გამოსჭედოს სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმები, რომელიც სიკეთესა და ბედნიერებას მოჰფენს და მიანიჭებს არა თუ მხოლოდ რუსეთს, არამედ სხვა ერებსაც. ამით კი დასტურდება ელიზე რეკლიუს შემდეგი რწმენა, რომელიც მან გამოსთქვა თვის უკანასკნელ თხზულებაში: ადამიანი და დედა მიწა. აქ ელიზე რეკლიუ შემდეგს ეუბნება რუსებს: „თქვენ იქნებით ერთი უმთავრესი შემომქმედი ამ ცივილიზაციისა, რომელიც იქნება ჭეშმარიტად ადამიანური და რომელიც ამავე დროს დამყარებული იქნება მხოლოდ უფლებასა და თავისუფლებაზე“.

(დასასრული იქნება)

ი. ფანცხავა.

მაგრამ ყოველ ასეთს შემთხვევას გერმანია უყურადღებოთ სტოვებდა. ჩვენ მოგვიხდება იმის მოწმობა, როცა რუსეთის სახელმწიფო გემი წყლიდან ამოთრეული მისცურავდა ინგლისის ქარის ქრიალით.

### კავკასია და გენუა.

**ლონდონი**, 6 მარტი. „დეილი ტელეგრაფი" უჩვენებს რა კომპეტენტიურ საფრანგეთის ექსპერტების შეხედულებას კავკასიის, როგორც ნავთის და სხვა ნედლეულის ექსპორტის ბაზად გამოყენებას, სწერს: საეჭვოა, რომ მოკავშირეებმა შესძლონ განიხილონ, როგორც რუსეთის ტერიტორია, რადგანაც მათ ფორმალურად ცნეს კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომლებიც წარმოადგენენ არა ევროპის, არამედ აზიის სახელმწიფოებს. ამიერ-კავკასიის მცირე ნაწილი უჭირავთ ქემალისტებს. თუ გენუის კონფერენციამ, აღნიშნავს ბოლოს „დეილი ტელეგრაფი" განზრახვა აქვს, მოითხოვოს ოსმალეთისა და ბოლშევიკებისაგან კავკასიის დაცლა, იგი შესაძლებელია დაადგეს სამხედრო ძნელ ამოცანის წინაშე.

## უცხოეთი

### საერთაშორისო სანიტარული კონფერენცია.

**ბერლინი**, 21 მარტი. საბჭოთა მთავრობამ გვაცნობა, რომ იგი თანხმობას განაცხადებს თავისი წარმომადგენლების სანიტარულ კონფერენციაზე ვარშავაში. ამ საერთაშორისო კონფერენციაში საბჭოთა რუსეთი პირველად მიიღებს ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლების თანაბარ მონაწილეობას.

### ლოკაუტი ინგლისში.

**მოსკოვი**, 22 მარტი. ლონდონიდან მარტის 18 გვაუწყებს: მანქანის მშენებელთა ლოკაუტი გრძელდება. მდგომარეობა უცვლელია. შემდგარია განსაკუთრებული კომიტეტი ტრედ-უნიონებთან მოსალაპარაკებლად. ტრედ-უნიონები უკვე იმყოფება ლოკაუტის მუქარის ქვეშ. ამ ჟამად კომიტეტი გართულია მხოლოდ საინფორმაციო მოღვაწეობით, მაგრამ თუ სხვა ტრედ უნიონებიც მოხვდნენ ლოკაუტში, კომიტეტი მიმართავს სხვა მოქმედებებს. ლონდონში მომხდარ მასიურ მიტინგზე წამოყენებულ იქნა მოთხოვნილება ტრედ უნიონების კონგრესის მოწვევის შესახებ, მასში უმუშევრების დელეგატების მოწვევით მონაწილეობის მისაღებათ, სადაც შესდგება უმუშევართა მასიური ორგანიზაცია კაპიტალისტების წინააღმდეგ. ლონდონის საოლქო კომიტეტი მუშა-ელექტრო-ტეხნიკოსთა კავშირისა ენერგიულად მოითხოვს მოწოდებით მიმართავს მუშებისადმი, რომ მათ მიმართონ საერთო გაფიცვას საჭიროების შემთხვევაში.

მუშათა ორგანიზაციის გაერთიანებულ კავშირის თხოვნა ლოკაუტის მიზეზების გამორკვევის შესახებ—უარყოფილია. მუშებსა და გემთა შენების წარმოების დამქირავებელთა შორის მოლაპარაკება შეწყდა მესამეჯერ. მუშაობა შეჩერდება არა უგვიანეს მარტის უკანასკნელ რიცხვებისა. ამ ჟამად კონფლიქტი მონაწილეობს 300,000 მუშა, მაგრამ ეს რიცხვი შესამჩნევად გადიდდება.

### ლოიდ ჯორჯი.

**მოსკოვი**, 22 მარტი. „ტაიმს" სწერს, რომ დღის მწვავე საკითხს წარმოადგენს არა გენუა, არამედ ლოიდ ჯორჯის მდგომარეობა. გაზეთი იმყოფება ლოიდ ჯორჯის მეტად სამტრო ოპოზიციაში, აღნიშნავს რა, რომ მოლაპარაკების მომენტიდან მისი პოლიტიკა ყოველთვის მიმართული იყო საფრანგეთის სამხედრო ძლიერების შესუსტებისაკენ.

### ელზას-ლოტრინის დამოუკიდებლობა

**ლონდონი**. 21 მარტი. „ჩიკაგო ტრიბუნი" იუწყება, რომ ამერიკაში გავრცელებულია დიდძალი რაცხვი პროკლამაციისა, რომელიც მოითხოვს ელზას-ლოტარინგიის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას. ამ პროკლამაციებს აზის ბეჭედი „ელზას-ლოტარინგიის რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტის. პროკლამაცია ხელმოწერილია კომიტეტის წევრების მიერ, რომელიც სცხოვრობენ შვეიცარიაში.

### ამერიკა და ევროპა

**ნაუენი**. 21 მარტი. ამერიკის ბანკის სიმონსმა „ნიუ-იორკ ჰერალდის" რედაქტორთან საუბრის დროს პარიზში ევროპისადმი ამერიკის დამოკიდებულების პოზიციის შესახებ განაცხადა: „ამერიკის კონგრესი და ამერიკის საზოგადოებრივი აზრი საფრანგეთის პოლიტიკას სთვლის საფრანგეთში გაბატონებულ მილიტარიზმი ნიშნად. ამერიკელების აზრით, მრავალ რიცხოვან არმიის შენახვა ომის გადასახადების საშუალებას არ წარმოადგენს, პირიქით, იწვევს ომს და ხელს უწყობს მის დაჩქარების დასაწყისს.

## ეკონომიური კრიზისი

ამ ჟამად ჩვენთვის ყველაზე უფრო საშინელი შემაძრწუნებელი არის **სიმშილობა**, რომლის შავი აჩრდილი სულთამხუთავის სახით დიდი ხანია დასტრიალებს რუსეთის მშრომელ გლეხობას და უკანასკნელად ამიერ-კავკასიას და კერძოდ საქართველოსაც.

აქამდის ჩვენთვის ძალიან ძნელი ყოფილა თურმე გაგვეკეთებინა იმ მდგომარეობის სწორი ანალიზი, რაც რუსეთში ხდებოდა და ხდება.

განა შესაძლებელია წლევანდელ სიმშილობას შეედაროს 1891 წელში მომხდარი ამბები ამავე ნიადაგზე?

რომელი წლის ისტორიამ იცის, რომ ერთი სახელმწიფოს 19 მილიონი ხალხი მოესპოს სიმშილობას და წლევანდელისთანა აღმაშფოთებელი და სასოწარმკვეთი პერსპექტივა გადაეშალოს ოდესმე?

ასეთი რამ არასოდეს არ მომხდარა; ოხვრა-ტანჯვით გამოწვეული ამდენი სიკვდილი ჩვენ არ ვიცით.

მაგრამ ეხლა ჩვენ გვსურს საქართველოს ეკონომიურ კრიზისზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. რუსეთის ლეგენდარული გმირი, სიმშილი გამოხვეულის პირზე საქართველოსაც ეწვია დაუპატიჟებელ „სტუმრად" თავისი სისხლიან კბილთა ღრჭენით და მსხვერპლს მოითხოვს.

დღეს ცნობები ადასტურებენ, რომ დასავლეთ საქართველოში ათამდე სიმშილით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევას ქონდა უკვე ადგილი.

თუ სხვის ისტორიაში შეიძლება აღმოვაჩინოთ მოუსავლობის და სიმშილობის წლები, ჩვენ ისტორიაში არის ასეთები. თუ მე-12 საუკუნის ზოგიერთი წლების მოუსავლობის დროს „ხილის კურკას დაფქვავდიან და სჭამდიან" და მე-16 საუკუნის სიმშილობის დროს „ფქვილის ხორცი ლიტრობით იყიდებოდა", მაგრამ ამ დროების მემატიანე მაინც არ იხსენიებს სიმშილით სიკვდილს.

უბრალო ილუზია და ოცნებაა ყოველგვარ სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ფორმებზე ფიქრი, მაშინ, როცა სიმშილით გამოწვეულ სტიქიურ უბედურებასთან უხდება ადამიანს ბრძოლა.

სახელმწიფოებრივი ფორმის მხრივაც, საქართველო განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება. რევოლიუციონური პერიოდიდან სააღმშენებლო პერიოდში გადავიდა და ეხლა ამ პოლიტიკურ სარბიელზე უხდება მას მუშაობა. ამის შესრულებისათვის ერთი და აუცილებელი პირობაა ფიზიკური სიძლიერე. ჯერ მატერიალი ენერგიის დაგროვება და შემდეგ სადი სულიერი მოძრაობას შექმნა, რომელიმე ახალი კომპანიის დასაწყებად.

პოლიტიკური ფრონტის გამაგრების პარალელურად, სიმშილობასთან საბრძოლველი პირდაპირი ფრონტი იქნება ჩვენ წინაშე. ფიზიკური პოტენციის შენარჩუნების ახალი დილემა იშლება ყოფნა არ ყოფნის სახით.

ეკონომიურად დაბალი კატეგორია იხრება წელში. მკერდ გაშიშვლებული ქართველი მუშა, შუბლზე ოფლის ნაკადის წვეთით აქტიურ ბრძოლაშია ჩაბმული და თავის მწარე სიცოცხლეს, ახალ მწარე კირთებს უმატებს ზამთარზაფხულ წელში მოდუნებული სოფლელი მშრომელი თავის დაკოჟრებული ხელებით და დანაოჭებული სახით ძრწუნავს სიკვდილის ლანდის წინაშე.

ჩვენ წინეთაც აღვნიშნეთ ზოგიერთი საშუალებანი სიმშილთან საბრძოლველად, რომელსაც ჩვენის აზრით ექნებოდა რაიმე მნიშვნელობა კრიზისთან ბრძოლის დროს, ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ მეზობელი სახელმწიფოების იმედი არას გზით არ უნდა ვიქონიოთ. ამის მიზეზი ავხსენით ერთ ერთ წერილში. **საკუთარი ქონების რაციონალური განაწილება და ძლიერი ტემპით საგარეო ვაჭრობა-მრეწველობის გაძლიერება გახლავთ სასწრაფო საქმე და ამ მხრივ დაყოვნება უდიდესი ბოროტება იქნება. ტრანსპორტის გაძლიერება საქართველოს მასშტაბით და მიწოდება-განაწილების საქმის სასწრაფოთ მოგვარება. განაპირა ეკონომიურად** (საზღვაგეთით) უფრო მდიდარ, კუთხეებთან ნატურალურ ვაჭრობის მოწყობა და საამისო საეკვივალენტო საქონლის დამზადება და სხვა ამ ხასიათის რადიკალური ზომების მიღება, ჩვენ ვფიქრობთ ცოტაოდნად მაინც მოაშუშებდა დასნეულებულ იარას. მაგრამ ყოველივე ეს, ჩვენდა სავალალოდ, უფრო და უფრო გაფართოებისაკენ მიექანება და საზოგადოების გამოკვების საქმეს ახალ ახალი შემზღუდველი მიზეზები ეღობება წინ.

ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყოვლად შეუწყნარებელია რკინის გზის ტარიფის ასე ერთბაშად და ასეთი რაოდენობით გადიდება. უკანასკნელი ფასების მომატება რკინის გზაზე მიმოსვლისათვის და ბარგის გადატანის ქირის ესეოდენის გაძვირება დამწვარ სხეულს კიდევ უფრო საშინლად გადიხინებს. სახელდობრ ეს ძლიერ აწვება სანოვაგის ფასს.

ამ გზით ხელოვნურად ეცემა ჩვენი ფულის კურსი, ასეთი საშუალებით ძირი ეთხრება ჩვენი ფულის ვალუტის საქმეს.

შეიძლება გამართლდეს არც ერთ შემთხვევაში ასეთი მოქმედება. ჩვენი რკინის გზა ამ უკანასკნელ ხანებში სრულებით მოსწყდა საქართველოს ინტერესების სამსახურის საქმეს და თავის მოქმედებას ამიერ-კავკასიის მასშტაბით უფარდებს. ქართული ბონები ჯერ არ გათანასწორებია ღირებულების მხრივ რუსეთის ბონებს და მათი ერთსა და იმავე კურსით მიღება რკინის გზებზე არას გზით არ შეიძლება აიხსნას. თუ აზერბეიჯან-სომხეთის ტერიტორიაზე მოქცეული რკინის გზის განსაზღვრულ მანძილზე დაწესებულია განსაზღვრული ფასი რუსეთის ფულით, ჩვენ ტერიტორიაზე, ჩვენი ფულით იმავე სიდიდის სივრცე 3 ჯერ ნაკლები მაინც უნდა ღირდეს და ან ნებადართული უნდა იყოს აქაც როგორც სომხეთ-აზერბეიჯანში რკინის გზაზე რუსული ბონებით მოგზაურობისა.

ყოველი ნაბიჯი, ყოველი აქტი ზედმეტი პოლიტიკური ტაქტით და მოფიქრებით უნდა იქნეს გადადგმული ამ საბედისწერო მომენტში. ეკონომიურ კრიზისთან ბრძოლა და მასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება უნდა გახდეს ჩვენს პირველ და აუცილებელ საქმედ.

დასავლეთ საქართველოს გამოწვდილი ხელი სიმშილის ჟამს დახმარების აღმოსაჩენად უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ. ეკონომიური კრიზისისაგან გამოწვეული ტრაღიული მოვლენები საწყისშივე უნდა იქნენ დამარხულნი. დროებით უნდა შეჩერებულ იქნას ყოველგვარ სხვა საქმეზე ფიქრი და მთელი ჩვენი ყურადღების ცენტრი დამშეულ კუთხისკენ მივაპყროთ.

ტფილისის მუშა მოსამსახურეებს თავის ისედაც მცირე ულუფა ნახევრად შემცირდა.

მათი იმ მდგომარეობაში დატოვება ძნელი საქმეა.

მხოლოდ მუშა მოსამსახურეების ყოფა ცხოვრების გაუმჯობესების ზრუნვისათვის უნდა ამხედრდეს მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი.

ფუფუნების საგნების დამზადება მეტად მჭამელთათვის, უნდა მოისპოს. „კაფე შანტანებში" მოსიარულე ხალხის ტვინმაც უნდა იგრძნოს მშრომელის ტრაღიკული მდგომარეობის შესახებ, რა სახითაც უნდა მოხდეს ეს „გრძნობა".

სანამ გვიან, არაა, სანამ ყველას მოითხოვს დამშეული მხარე, სანამ უფრო შემაძრწუნებელი სურათის წინ დავდგებოდეთ, მანამ გვმართებს სიფხიზლე, ეკონომიური ორგანოების ყოველ მხრივ ამოძრავება და შესაფერი ზომების სასწრაფოდ გამონახვა.

გ. თ—ძე.

## კიდევ სტუდენტთა საკითხის შესახებ

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა უკმაყოფილო იყო წარსული გამგეობის—განსაკუთრებით მის მოღვაწეობის უკანასკნელ ხანებში.

ძველი გამგეობა ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, მაგრამ არც ეხლანდელ სტუდენტთა დრ. საბჭოს აქვს დამსახურებული სტუდენტობაში სიმპატიები. ეს მოვლენა სრულიად გასაგებია: სტუდენტთა დრ. საბჭომ ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც ამყარებდა მასზე ობიექტიურად განწყობილი სტუდენტობა. არასოდეს ისე არ განიცდიდა გაჭირვებას ქართველი სტუდენტობა, როგორც დღეს. რამდენად მწვავეა სტუდენტობის მდგომარეობა, იმდენად ის მეტს მოელის მის გამაერთიანებელ ორგანიზაციიდან.

ყველა სტუდენტებს, განურჩევლად პოლიტიკური მრწამსისა, ეგონა, რომ ახალი ხელისუფლება დანიშნულ სტუდენტთა დრ. საბჭოს სახით საგრძნობლად შეეხებოდა სტუდენტთა ცხოვრებას და რადიკალურად გააუმჯობესებდა მის მდგომარეობას. სტუდენტთა დრ. საბჭო ერთ წუთსაც არ ფიქრობდა, რომ მთავრობა გულგრილად შეხვდებოდა სტუდენტობის მოთხოვნილებას, მის ინტერესებს მან, საბჭომ, კიდეც მიიღო ზომები სტუდენტთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ამაოთ: სტუდენტობას არ მისცეს ბინა, პური, ტრამვაის ბილეთები, აბანო, სასადილოსათვის არც მაზუთი, არც სხვა სანოვაგე, გარდა ხორცისა. არსაიდან დახმარება, არსაიდან გამოძახილი.

სტუდენტთა საბჭო იძულებული გახდა მიემართა უკიდურეს საშუალებისათვის. სასადილოს დარბაზში შემოუშვა კინემატოგრაფი, საბჭოს ოთახის ორი მესამედი ნაწილი გასცა საიჯარო მაღაზიის ქვეშ. საშინლად დამახინჯდა სტუდენტთა სასადილო—იგივე სტუდენტთა კლუბი, სადაც მოიყრიდნენ ხოლმე თავს სტუდენტობა, ბჭობდნენ, მუსაიფობდნენ, თავს იქცევდნენ და სხ. ეხლა თითქმის სასადილოთ დასაჯდომი ადგილი არ არის (კინოს სკამებს აქვს დაკავებული მთელი დარბაზი).

სადამოთი ჩაის მიწოდება მოისპო. საშინელი შევიწროებულია სტუდენტობა. მახსოვს, 1919—20 წლებში სტუდენტთა კავშირის გამგეობა პრინციპიალურად წინააღმდეგი იყო სასადი- რომ დღევანდელი სტუდენტთა საბჭო დროებითია: ის შეცვლილ უნდა იქმნეს ახლო მომავალში ერთი წლით არჩეულ საბჭოს მიერ.

განსაკუთრებულ მდგომარეობაშია ჩალის უმნიშვნელო ნაწილის „ვიტრინის" დათმობისაც კი. დღეს გადალახული ყოველი პრინციპი—მდგომარეობამ შექმნა ამისი პირობები.

დიდი აქტივობა გამოიჩინა განათლების კომისარიატმა. სტუდენტთა ძველი გამგეობის გადაყენებისა და ახალი საბჭოს დანიშვნის დროს, გვეგონა, რომ კომისარიატი [illegible] —ყოველ იმ დეფექტებს, [illegible] ულობას მენშევიკური მთავრობისა, რომელიც მან ჩაიდინა სტუდენტობის წინაშე, მაგრამ ამის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ ინერციით უარყოფითი შედეგები.—დიახ, ამიტომ შეუძლებელიც არის საბჭოს მუშაობაში კერძოთ დადებითი შედეგები, რომლებსაც ყველაზე უფრო მასთან ახლო მდგომი ორგანო, განათლების კომისარიატი, იზოლაციას უქმნის მას.

ბოლოს და ბოლოს, არ უნდა ავიწყდებოდეს განათლების კომისარიატს, დანიშნული სტუდენტთა საბჭო: ის არსებობს უკვე მე 4 თვეა. როგორც ვსთქვით, სტუდენტთა საკითხის მოუგვარებლობა არ უნდა ვეძიოთ საბჭოს მოქმედებაში. მაგრამ სტუდენტობა პასუხს მოითხოვს საბჭოსაგან. მორალურად, განათლების კომისარიატს აწევს პასუხისმგებლობა საბჭოს წინაშე, რომელიც მან დანიშნა და რომელსაც დახმარება არ გაუწია.

საჭიროა სტუდენტთა დრ. საბჭოს განსაკუთრებულ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განათლების კომისარიატისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, მიექცეს ყურადღება სტუდენტთა უკიდურეს გაჭირვებას, სიმშილს, უბინაობას და საერთოდ მის მატერიალურ მდგომარეობას.

**ნ. მარგველაშვილი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი


## განცხადება

### ტფილისის აღმასკომის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ქალაქის დარაბების მოიჯარადრეთა საყურადღებოდ აცხადებს,

რომ უკანასკნელი ვადა ამ წლის თებერვლის და მარტის თვეების საიჯარო ფულის შეტანისა დანიშნულია ამა წლის მარტის 15-დან 25-მდე, რისთვისაც წინადადება ეძლევათ მოიჯარადრეთ დროზე იზრუნონ ფულის შეტანაზე, უკანასკნელ შემთხვევაში მოიჯარადრეებს დარაბები სრულიად ჩამოერთმევათ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

## განცხადება

### სამკერვალო ქალთა და ბავშვთათვის.

უკანასკნელ გამოსულ ევროპიულ ჟურნალების მიხედვით „მერეჟკის" და ყოველგვარი საქარგავის გაკეთება.

იქვეა მოთავსებული ქუდის სახელოსნო ქალთა და ბავშვთათვის.

ყოველივე საგნები ხელსაყრელ ფასებში და პასუხისმგებლობით იქნება შესრულებული.

აგრეთვე ვიყვანთ მოწაფეებს.

**ჩხოპაძე და ბურუსიძე.** მისამართი: ელისაბედის ქუჩა № 120.

## განცხადება

### ქ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის,

გადასახადთა ბიუროს და მისი რაიონულ აგენტების მოქმედებათა შესახებ დაარსებული საგანგებო-საგამომძიებლო კომისია ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, გადასახადთა ბიუროს და მისი რაიონულ აგენტების მიერ მაღაზიების განაწილების დროს დაშვებულ უკანონო და ბოროტმოქმედებათა შესახებ ყოველგვარ განცხადება-საჩივრებს კომისია იღებს ა/წ. 25 მარტამდე. ყველა პირები, რომლებმაც კი იციან ასეთი ბოროტ-მოქმედებანი ან იზარალეს მათგან, ვალდებულნი არიან აღნიშნულ დრომდე მიაწოდონ საგამომძიებლო კომისიას სათანადო განცხადება.

საგანგებო საგამომძიებლო კომისია.

## განცხადება

### ქ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყველა ვაჭრობა-მრეწველობის ნებართვის უქონლობის გამო, ადმინისტრაციის მიერ დაბეჭდილი მაღაზიები, თუ მათ მეპატრონეები დღიდან დაბეჭდვისა 7 დღის განმავლობაში არ აიღებენ ვაჭრობა-მრეწველობის უფლების ნებართვას, სრულიად ჩამოერთმევა მეპატრონეებს და გადაეცემა საექსპლოატაციოთ ახალ მოიჯარადრეებს, ხოლო დაბეჭდილ მაღაზიებში აღმოჩენილი საქონელი კი გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ქალაქის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.